ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №1123388

ნომერი: AR1196623

თარიღი : 11.02.2014

გაცემის თარიღი : 18.02.2014

გაცნობის თარიღი : 12.05.2014

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა ქიაჩელი , N 21 ;

დამკვეთი-განმცხადებელი
- ირინე გაგოშიძე პ/ნ 01024016669
- თბილისი პეკინის გამზ. N 31"ბ" ბ. 28

ორგანიზაცია:
- შპს "ინფინიტი" კოდი: 205085496

ნომენკლატურა :

- მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი
- IV კლასი
- ვადაგაუსვლელი
- მშენებლობის ნებართვა

.სატიტულო ინფორმაცია.:

- .ფუნქციური დანიშნულების სახეობა.: მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი
- .მთავარი არქიტექტორის/სპეციალისტი სახელი და გვარი.: ირინე გაგოშიძე
- .ორგანიზაცია (არსებობის შემთხვევაში).: infiniti
- .საიდენტიფიკაციო კოდი.: 205085496

.დამკვეთის ინფორმაცია.:

- .ორგანიზაცია (არესბობის შემთხვევაში).: infiniti
- .საიდენტიფიკაციო კოდი.: 205085496
- .დამკვეთ(ებ)ის სახელი და გვარი.: ირინე გაგოშიძე
- .დამკვეთ(ებ)ის პირადი ნომერი.: 01024016669

.მშენებლობის ნებართვის რეკვიზიტები.:

- .მშენებლობის ნებართვის ბრძანების ნომერი. : 01/632
- .მშენებლობის ნებართვის ბრძანების თარიღი. : 16.03.2012

ქ. თბილისის მერიის სსიპ ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის პროექტის შეთანხმებისა და მშენებლობის ნებართვის გაცემის შესახებ 2012 წლის 16 მარტის N01/632 ბრძანებასა და N6/641-1 მშენებლობის სანებართვო მოწმობაში მშენებლობის დასრულების თარიღში ცვლილების შეტანის შესახებ

ქ. თბილისის მერიის სსიპ ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის მიერ 2012 წლის 16 მარტს N01/632 ბრძანებით შეთანხმდა ქ. თბილისში, ძველი თბილისის რაიონში (სექტორი - მთაწმინდა), ქიაჩელის ქ. N21–ში, შპს "ინფინიტი"–ს კუთვნილ მიწის ნაკვეთზე, საშუალო ინტენსიურობის მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის კორექტირებული არქიტექტურული პროექტი და გაიცა მშენებლობის ნებართვა და N6/641-1 მშენებლობის სანებართვო მოწმობა, რომელიც ძალაში იყო 2013 წლის 30 სექტემბრის ჩათვლით.

2013 წლის 14 სექტემბრის N AR1161902 განაცხადის საფუძველზე (განმცხადებელი შპს "ინფინიტი"–ს დირექტორი ი. გაგოშიძე) სამსახურის 18.02.14 წლის №1123388 ბრძანებით 2012 წლის 16 მარტის N01/632 ბრძანებასა და N6/641-1 მშენებლობის სანებართვო მოწმობაში მშენებლობის დასრულების თარიღში შევიდა ცვლილება, კერძოდ: "ძალაშია 2013 წლის 30 სექტემბრის ჩათვლით", შეიცვალა "ნებართვა ძალაშია 2014 წლის 15 თებერვლის ჩათვლით".

2014 წლის 11 თებერვალს N AR1196623 განცხადებით კვლავ მოგვმართა შპს "ინფინიტი"–ს დირექტორმა ი. გაგოშიძემ, რომელიც ითხოვს მშენებლობის ნებართვის ვადის გაგრძელების მიზნით 2012 წლის 16 მარტის N01/632 ბრძანებასა და N6/641-1 მშენებლობის სანებართვო მოწმობაში მშენებლობის დასრულების თარიღში ცვლილებების განხორციელებას.

სამსახურმა განცხადების განხილვის შედეგად გადაწყვიტა, რომ მოთხოვნა საფუძვლიანია და უნდა დაკმაყოფილდეს.

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 63-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "კულტურული მემკვიდრეობის შესახებ" საქართველოს კანონის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების თანახმად

ვბრძანებ

1. შევიდეს ცვლილება ქ. თბილისის მერიის სსიპ ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2012 წლის 16 მარტის N01/632 ბრძანებასა და N6/641-1 მშენებლობის სანებართვო მოწმობაში, კერძოდ, "ნებართვა ძალაშია 2014 წლის 15 თებერვლის ჩათვლით", შეიცვალოს "ნებართვა ძალაშია 2014 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით";

2. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნეს ქ. თბილისის მერიის სსიპ ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის

2012 წლის 16 მარტის N01/632 ბრძანებასა და N6/641-1 მშენებლობის სანებართვო მოწმობასთან ერთად.

• აღნიშნულის შესახებ დადგენილი წესით ეცნობოს დაინტერესებულ მხარეებს და ქ. თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურს.
• ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მერიაში (მისამართი - ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქ. #7), დაინტერესებულ მხარეთათვის ოფიციალური წესით გაცნობიდან ან გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში.